განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირება (მაგისტრატურა)

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 5 აგვისტო, 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 1 სექტემბერი, 2022 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	208215509
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა (მეორე საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	თორნიკე ხოშტარია, სასწავლო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	უნივერსიტეტი გეომედი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეა კასრაძე, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ქავთარაძე, შპს - ,,ფოკუს სტუდიო“, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინა ჩიხრაძე,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ გორგოძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის მიზნით შესაფასებლად წარმოდგენილია ინგლისურენოვანი ახალი სამაგისტრო პროგრამა ,,ბიზნესის ადმინისტრირება“.

სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობა მოიცავს 2 აკადემიურ წელს. სასწავლო კომპონენტებიდან 60 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო კურსებს, რომლებიც ძირითადი კომპეტენციების ჩამოყალიბებისკენ არის მიმართული; 20 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის არჩევით კურსებს, რომელიც კონკრეტული დისციპლინის შესწავლის საშუალებას იძლევა. აღსანიშნავია, რომ სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები 4 მიმართულებით არის კონცენტრირებული: მენეჯმენტის და ადმინისტრირების, ადამიანური რესურსების მენეჯმენტის, სამართლის, ფინანსების, სამეწარმეო ცენტრთან კოორდინირებული პრაქტიკული სასწავლო კურსები. 10 ECTS კრედიტი თავიუფალი კომპონენტებს მოიცავს, რაც შეიძლება არჩეულ იქნას უნივერსიტეტის ან პარტნიორი უნივერსიტეტის ნებისმიერი მოქმედი პროგრამიდან. კვლევითი კომპონენტი 30 ECTS კრედიტია და მთლიანად სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას ემსახურება.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 31 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, საიდანაც 15 ადგილობრივი აკადემიური პერსონალია, რომელთაგან აფილირებულია 8, ხოლო 10 არის უცხოელი.

პროგრამა გადამუშავდა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროცედურების დაცვით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ. პროგრამის და მისი კომპონენტების სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოყვანილია ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროსების კლასიფიკატორთან“ (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N 69/ნ. 2019 წლის 10 აპრილი);

აღსანიშნავია, რომ პროგრამის გადამუშავების პროცესში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად ჩართულნი იყვნენ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები, კურსდამთავრებულები და პოტენციური დამსაქმებლები. პროგრამამ გაიარა გარე ექსპერტიზა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა ადგილზე ვიზიტის საფუძველზე მიმდინარე წლის 3-4 აგვისტოს. შეფასებამდე, ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები და დააორგანიზა დისტანციური წინასააკრედიტაციო შეხვედრა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია სააკრედიტაციო მასალების შესახებ, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე. შეთანხმდა სააკრედიტაციო ვიზიტის განრიგი. შემუშავდა შეკითხვების ჩამონათვალი.

უნივერსიტეტს გაეგზავნა დამატებითი დოკუმენტების და მასალების წარმოდგენის თხოვნა. ვიზიტს პროცესშიც გამოთხოვილი იქნა დამატებითი დოკუმენტები. მათ შორის:

- ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აკადემიური პერსონალის მიხედვით მთლიანი დატვირთვა;
- პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების წესები აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის;
- აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული და შესაბამისი აქტივობების მიხედვით დაგროვებული ქულების შესახებ;
- მომიჯნავე სპეციალობის სამაგისტრო ნაშრომები 3-სხვადასხვა შეფასების;
- სტუდენტების კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელი;
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- სამზნე ნიშნულები სამივე პროგრამისთვის;
- ანალოგი პროგრამების ანალიზი და შეფასება;
- სპეციალობის მისაღები გამოცდის შეფასების კრიტერიუმები;
- სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართულობა;
- ,,სასწავლო პროცესის რეგულირების წესის" განახლებული ვერსია;
- აკადემიური პერსონალის დატვირთვის დოკუმენტი;
- სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში.

უსდ-მ ექსპერტებს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე.

ვიზიტი დაიწყო შეხვედრის განრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა გრაფიკით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია.

უნივერსიტეტში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას ექსპერტები გაეცნენ ყველა შესაძლებლობას, რაც პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას უზრუნველყოფს.

ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უზრუნველყო პირობები იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შესაფასებლად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, სრულ შესაბამისობაშია - 1.1, 1.2, 2.1, 2.4, 2.5, 2.6, 3.1, 3.2, 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 5.1, 5.2, 5.3 ქვესტანდარტები, მეტწილ შესაბამისობაშია - 2.2, 2.3 ქვესტანდარტები.

- **რეკომენდაციები**

  - პროგრამაში სავალდებულო კურსების სახით უნდა წარმოდგენილი იყოს „ფინანსური მენეჯმენტი“, „აკადემიური წერა“ და ,,კრიზისების და ცვლილებების მართვა“.
  - გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა არჩევით მიმართულებებთან მიმართებაში, რათა შესაძლებელი კვალიფიკაციის შესაბამისი ცოდნის გაღრმავება.
  - მოხდეს პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის ნუსხიდან ქართულენოვანი სამოყვარულო ლიტერატურის ამოღება ან/და ქართულ ენაზე გამოცემული აკადემიური სასწავლო ლიტერატურით ჩანაცვლება.
  - „კვლევის მეთოდოლოგიის“ სასწავლო კურსში გაძლიერდეს რაოდენობრივი კვლევის მეთოდების და SPSS - ის სწავლება;
  - გადაიხედოს სასწავლო კურსების „მენეჯერული ეკონომიკა“-ს და „საერთაშორისო ფინანსები“ ფარგლებში შესასწავლი საკითხები მათი სწავლების საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - ფაკულტეტის ვებ-გვერდზე აიტვირთოს პროგრამის განახლებული ვერსია;
  - სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა აისახოს სეუ-ს ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაშიც;
  - სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიაში სავალდებულო გახდეს გარე ექსპერტის ჩართვა;
  - სასურველია, პროგრამის აკადემიურმა გუნდმა კურიკულუმის რუკის შემუშავების პროცესში იხელმძღვანელოს საუნივერსიტეტო სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტით;
  - სასურველია, გარე შემფასებლების მიერ, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მოხდეს მისი შემადგენელი კომპონენტების დეტალური შესწავლა, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა მოიცავს 4 მიზანს რომლებიც უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მისიის განაცხადთან და ღირებულებებთან სრულ შესაბამისობაშია. სამაგისტრო პროგრამის მიზნები შემდეგნაირად არის ფორმულირებული: • განავითაროს ახალი ტიპის მენეჯერი, რომელიც მხოლოდ ვიწრო სპეციალობით არ ხასიათდება და ურთიერთდაკავშირებული პრობლემების აღქმის უნარიც გააჩნია. მენეჯერი, რომელსაც პრობლემების სისტემური იდენტიფიცირების, რაოდენობრივი მონაცემების გააზრებისა და შეფასების, სიტუაციის კრიტიკული ანალიზის, გეგმების შემუშავება-განხოციელების, თანამედროვე საუკეთესო პრაქტიკის ცოდნის გამოყენებისა და პრობლემების გადაჭრის უნარი შესწევს. • განავითაროს ახალი ტიპის მენეჯერი, რომელიც გათვითცნობიერებულია 21-ე საუკუნეში მსოფლიო მასშტაბით ოპერირებისა და კომუნიკაციის გზებში და რომელსაც შესწევს უნარი გაუმკლავდეს არსებულ ეკოსისტემებთან, გარემოსთან და სოციალურ განზომილებებთან დაკავშირებულ ისეთ გამოწვევებს, რომლის წინაშე ყველა ორგანიზაცია შეიძლება აღმოჩნდეს. • განავითაროს ახალი ტიპის მენეჯერი, რომელიც მუშახელის მისწრაფებებსა და ფუნქციონირების სტილში მომხდარ ცვლილებებს იაზრებს, რაც სხვებთან მუდმივი კომუნიკაციის საშუალებით ფასეულობაზე დაფუძნებულ ახალ სამუშაო გარემოს გულისმხმობს. აღნიშნული, ადამიანზე ორინტირებული ახალი ტიპის მმართველობას საჭიროებს. • განავითაროს ტიპის მენეჯერი, რომელიც უწყვეტი განათლების პრინციპს იზიარებს და მუდმივ გაუმჯობესებასა და სრულყოფილებაზეა მომართული. პროგრამის მიხნებში გათვალისწინებულია დასაქმების ბაზრის მოთხოვნები ასევე, დარგის სპეციფიკა. აგრეთვე, უნივერსიტეტის მხრიდან გაკეთდა პროგრამის ბენჩმარკინგი. პროგრამის მიზნების ფორმულირების პროცესში ჩართულნი იყო ყველა დაინტერესებული მხარე. მიზნები გაზიარებულ იქნა აკადემიური/მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების,

მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ. პროგრამაში ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი იმპლემენტაციის დონეზეა გათვალისწინებული. პროგრამაში ჩართულია 10 უცხოელი განმახორციელებელი. ასევე, უნივერსიტეტს ევროპის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებული. აგრეთვე, ინტერვიუებიდან გაირკვა, რომ დაგეგმილია, როგორც სტუდენტების ასევე პროფესორების აკადემიურ გაცვლით პროგრამებში ჩართვა. პროგრამის მიზნები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებილი პირისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები; ○ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მისია; ○ ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ვეგვერდი https://www.seu.edu.ge/ka/1796/ ○ ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლო პროგრამა; ○ შრომის ბაზრის ანალიზი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ ფაკულტეტის ვებ-გვერდზე აიტვირთოს პროგრამის განახლებული ვერსია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს ათი სწავლის შედეგის მიღწევას:

- აზროვნებს სისტემურად, უშვებს ყველა პრობლემის ურთიერთკავშირის შესაძლებლობას და ერთ რომელიმე პრობლემას ცალკე არ გამოყოფს;
- იცნობს პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა მიდგომებს და შეარჩევს პრობლემისათვის შესაფერის გადაჭრის ტექნიკას;
- ახალი ბიზნეს შესაძლებლობების აღმოჩენის, კვლევისა და შესწავლის მიზნით აანალიზებს გლობალურ და საბაზრო ტენდენციებს გლობალური ეკოსისტემის, წარმოების მიმართულებების, მიწოდებისა და ვაჭრობის მიმართულებით.
- გადაჭრის ყოველდღიურ სამუშაო პრობლემებს, ხელს უწყობს ოპერაციული სრულყოფილების მიღწევას, იყენებს შეფასების სხვადასხვა ინდიკატორებს და ახორციელებს ორგანიზაციულ ცვლილებებს;
- შეიმუშავებს და ახორციელებს ბიზნესის განვითარების სტრატეგიას რათა მიაღწიოს ოპერაციულ სრულყოფილებას, გაზარდოს კომუნიკაცის ხარისხი, მოახდინოს ადამიანური რესურსების ოპტიმალური გამოყენება და გააუმჯობესოს ორგანიზაციის პოზიცია ბაზარზე;
- შეიმუშავებს და ავითარებს სტრატეგიულ პროცედურებს და პოლიტიკას, თვალყურს ადევნებს საკანონმდებლო ცვლილებებს, აანალიზებს გარე მოხმარების დოკუმენტაციას, ეძებს ოპერაციების, კომუნიკაციისა და პარტნიორობის გაუმჯობესების გზებს;
- იყენებს და განმარტავს შეფასების სხვადასხვა ინდიკატორებს, აფასებს თანამშომელთა მორალურ მდგომარეობას, ამზადებს გუნდს დაგეგმილი და უწყვეტი ცვლილებისათვის, უზრუნველყოფს თანამშრომელთა ჩართულობას და მიუთითებს მათი პროფესიული განვითარების შესაძლებლობეზე;
- იყენებს კორპორატიული კულტურისთვის აუცილებელი მართვის ახლებურ სტილს;
- ესმის ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლების მნიშვნელობა;
- ზრუნავს მუდმივ თვითგანვითარებაზე.

პროგრამის სწავლის შედეგები და მიზნები შესაბამისობაშია. ზემოხსენებული სწავლის შედეგებიდან ჩანს,, თუ რა ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას შეიძენს სტუდენტი სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის შედეგები

ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო კურსების შინაარსი მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას. აგრეთვე, პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, სტუდენტს აქვს საშუალება მხოლოდ ერთი მიმართულება აირჩიოს, რაც მას ტოვებს სხვა მიმართულების კომპეტენციების მიღმა (იხ. ქვესტანდარტი 2.2). აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყო ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა. აკადემიური და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუებმა დაადასტურა მათი მონაწილეობა პროგრამის განვითარების პროცესში. გარდა ხსენებულისა მოწვეულმა და აკადემიურმა პერსონალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისინი კარგად იცნობდნენ პროგრამის შედეგებს და მათ ფორმირებაში მონაწილეობდნენ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები; ○ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ კურიკულუმის რუკა; ○ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის	✓			

მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი სამაგისტრო გამოცდისა და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს მიერ დადგენილი წესით სპეციალობაში და უცხო ენაში ინგლისური მისაღები გამოცდის ჩაბარების შედეგად. უცხო ენაში კომუნიკაციის კომპეტენციის დადასტურება შესაძლებელია უცხო ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით. უცხო ენის ტესტირებისგან განთავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს. ასევე, კანდიდატი, ვისაც შესაბამის ენაზე აქვს გავლილი ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საფეხური. პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნა, რომ შესაფასებლად წარმოდგენილი პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების წინაპირობები განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სხვა აკრედიტებული მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მსგავსად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 30 დეკემბრის №854 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, გადასინჯვისა და შეწყვეტის პროცედურები“-ის შესაბამისად. პროგრამის ფარგლებში სწავლება მიმდინარეობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით და სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს 120 ECTS კრედიტის დაგროვების შემდეგ ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი. კრედიტები განაწილებულია შემდეგი პრინციპით: • **სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 60 კრედიტი** • **სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები – 20 კრედიტი;** • **სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი;** • **თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი (სტუდენტი ირჩევს დაწესებულებაში ან პარტნირ უნივერსიტეტში არსებული ნებისმიერი კურსებიდან)** პროგრამა არ ითვალისწინებს პრაქტიკას, თუმცა თითოეული სასწავლო კურსი ორიენტირებულია პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, მათ შორის 8 კრედიტიანი სასწავლო კურსი „პროექტების კონსულტირება და განხორციელება“, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები ერთვებიან რეალურ ბიზნეს პროექტებში. პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები ორიენტირებულია

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების სტუდენტისთვის გადაცემაზე. მისი მიზანია თანამედროვე, ახალი ტიპის მენეჯერის მომზადება, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი აზროვნება და ორგანიზაციული განვითარების სისტემური ხედვა. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო კურსების შინაარსი მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და მისანიჭებელ კვალიფიკაციას თუმცა, როგორც პროგრამის სტრუქტურა და ასევე ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი მოითხოვს გარკვეულ ცვლილებებს. კერძოდ: პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები დაჯგუფებულია სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით. მათ შორის არის არჩევითი კურსები სამართლის მიმართულებით. ყველა არჩევითი სასწავლო კურსის შეთავაზება მე-3 სემესტრში ხდება დაშვების წინაპირობების გარეშე და სტუდენტს აქვს შესაძლებლობა არჩევითი სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი 20 კრედიტი მთლიანად ერთი მიმართულებიდან აირჩიოს. ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ თუ სტუდენტი აირჩევს სამართლის მიმართულებით, იგი მისანიჭებელი კვალიფიკაციისათვის საჭირო ცოდნას ვერ გაიღრმავებს. ვიზიტის დროს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უსდ სტუდენტებს წინასწარ აძლევს რჩევებს ასარჩევ საგნებთან დაკავშირებით, რომლის შესწავლაც მნიშვნელოვანია მათთვის. ამასთან, საეჭვოა, რამდენად დაძლევადია ეს სასწავლო კურსები ნებისმიერი სტუდენტისთვის სამართლის დარგში სპეციფიკური ცოდნის გარეშე. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, პროგრამაში სავალდებულო კურსების სახით უნდა წარმოდგენილლ იყოს „ფინანსური მენეჯმენტი“ და „აკადემიური წერა“. რადგან პროგრამა სისტემურ მართვასა და აზროვნებაზეა ორიენტირებული აუცილებელია, ასევე, კრიზისების და ცვლილებების მართვის სწავლება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ○ უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 30 დეკემბრის №854 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, გადასინჯვისა და შეწყვეტის პროცედურები“; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; ○ ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები).
რეკომენდაციები: ○ პროგრამაში სავალდებულო კურსების სახით უნდა წარმოდგენილი იყოს „ფინანსური მენეჯმენტი“, „აკადემიური წერა“ და ,,კრიზისების და ცვლილებების მართვა“. ○ გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა არჩევით მიმართულებებთან მიმართებაში,

რათა შესაძლებელი კვალიფიკაციის შესაბამისი ცოდნის გაღრმავება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს. აქედან სპეციალობის სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილია 60 კრედიტი. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში, მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება სწავლის საფეხურს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და დამხმარე მასალები უმეტეს შემთხვევაში დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა გვხვდება გამონაკლისებიც. კერძოდ: „კვლევის მეთოდოლოგიის“ სასწავლო კურსი გასაძლიერებელია რაოდენობრივი კვლევის მეთოდების სწავლების მიმართულებით. ვიზიტის დროს ნანახი იქნა მონათესავე პროგრამის ფარგლებში დაცულ სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებული კვლევის მეთოდები და ექსპერტთა ჯგუფი შეჯერდა თვალსაზრისზე, რომ უსდ-მ უნდა გააძლიეროს აღნიშნული სასწავლო კურსი კვლევის რაოდენობრივ მეთოდებში. ასევე,

სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს SPSS-ის სწავლების საკითხებსაც.

გადასახედია სასწავლო კურსების „მენეჯერული ეკონომიკა“ და „საერთაშორისო ფინანსები“ ფარგლებში შესასწავლი საკითხები და გამოყენებული ძირითადი ქართული ლიტერატურაც. საჭიროა მათი სწავლების საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანა. „მენეჯერულ ეკონომიკაში“ ძირითადი ლიტერატურის - მენეჯერული ეკონომიკა (ქართულენოვანი რიდერი), ლექციების კურსი. ე. ხარაიშვილი, მ. ჩავლეიშვილი, ნ. დამენია, ც. მიქატაძე, 2016 - ნაცვლად უმჯობესია იმავე ავტორების მიერ 2021 წელს გამოცემეული „მენეჯერული ეკონომიკის“ სალექციო კურსის გამოყენება, რომელიც განკუთვნილია მაგისტრატურის სტუდენტებისთვის.

პრაქტიკულად ყველა სავალდებულო სასწავლო კურსში მითითებული ძირითადი ქართულენოვანი ლიტერატურა წარმოადგენს გამომცემლობა პალიტრა L-ის მიერ გამოცემულ სამოყვარულო (არა აკადემიურ) ლიტერატურას და ისინი ვერ უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას. მაგ.

- კარგიდან საუკეთესომდე, ჯიმ კოლინზი, პალიტრა L / ლურჯი ოკეანე, თბილისი, 2020 - სასწავლო კურსი „ოპერაციული სრულყოფილება“; ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო, არმსტრონგი, ტეილორი, ლურჯი ოკეანე, გამომცემლობა პალიტრა ლ, 2020 და ბიზნესმოდელების ნავიგატორი - 55 წარმატებული ბიზნესმოდელი, ლურჯი ოკეანე, გამომცემლობა პალიტრა ლ, 2020 - სასწავლო კურსი ორგანიზაციული განვითარება
- უორენ ბაფეტის ესეები, ლურჯი ოკეანე, გამომცემლობა პალიტრა ლ, 2020 - სასწავლო კურსი „საინვესტიციო პროცესის ანალიზი“;
- შემოქმედებითობა და პრობლემის გადაჭრა, ბრაიენ თრეისი, პალიტრა L / ლურჯი ოკეანე, თბილისი, 2019 და ლაყბობის გარეშე, ლურჯი ოკეანე, გამომცემლობა პალიტრა ლ, 2020 - სასწავლო კურსი „გადაწყვეტილებების მიღება“
- და სხვები.

საჭიროა მათი ჩანაცვლება ქართულ ენაზე გამოცემული აკადემიური სასწავლო ლიტერატურით ან პროფესორ-მასწავლებლების მიერ მომზადებული რიდერებით ან მხოლოდ მითითებული ინგლისური აკადემიური სახელმძღვანელოებით მოხდეს სწავლება. პროგრამაზე დაშვების პირობები (ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა) იძლევა ამის შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;
- საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და შეფასების მეთოდოლოგია;
- ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან.

რეკომენდაციები:

- მოხდეს პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის ნუსხიდან ქართულენოვანი სამოყვარულო ლიტერატურის ამოღება ან/და ქართულ ენაზე გამოცემული აკადემიური სასწავლო ლიტერატურით ჩანაცვლება.
- „კვლევის მეთოდოლოგიის“ სასწავლო კურსში გაძლიერდეს რაოდენობრივი კვლევის მეთოდების და SPSS - ის სწავლება;
- გადაიხედოს სასწავლო კურსების „მენეჯერული ეკონომიკა“-ს და „საერთაშორისო ფინანსები“ ფარგლებში შესასწავლი საკითხები მათი სწავლების საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის - სეუს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების განვითარებას. დამსაქმებლებთან ინტერვიუმ აჩვენა რომ აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულების უნარები ითვალისწინებს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

პროგრამის თითოეული სავალდებულო კურსი შედგება პრაქტიკული ელემენტისგან, სადაც სტუდენტებს საშუალება ეძლევათ თითოეული საგნის ჭრილში განიხილონ ე.წ. „ქეისები“ კომპანიებზე და შეიმუშაონ კრიზისული სიტუაციების გადაჭრის გზები.

პროგრამაზე პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის, სავალდებულო კომპონენტებად წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომი, რომელსაც სტუდენტი გადის დამამთავრებელ სემესტრებში (IV). სამაგისტრო ნაშრომის (დაწერისა და დაცვის) მიზანია, სტუდენტებმა შეიძინონ სამაგისტრო დონის შესაბამისი კვლევის უნარები, როგორებიცაა: შეძლონ საკვლევი ლიტერატურის მოპოვება და ანალიზი საკუთარ თემასთან დაკავშირებით, მოახდინონ მოპოვებული მონაცემების ანალიზი, და შედარება; შესთავაზონ თავისი კვლევის თეორიული და პრაქტიკული შედეგები. სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის ბიზნესის ადმინისტრირების სამიგისტრო პროგრამა აგრეთვე იყენებს უნივერსიტეტის, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ბაზაზე არსებული „ბიზნეს ლაბორატორიის“ რესურსებსაც. „ბიზნეს ლაბორატორია“ ხელს უწყობს სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებში ისეთი სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებას, რომელიც მთლიანად მიმართულია სტარტაპის განვითარებისთვის საჭირო უნარების განვითარებაზე. ლაბორატორიის სერვისები ეხმარება სტუდენტს ბიზნეს იდეის ფორმირება-განვითარებიდან დაწყებული, დამთავრებული საბოლოო პროდუქტის შექმნით, ბაზარზე გატანითა და კომერციალიზაციით. ნებისმიერ დაინტერესებულ სტუდენტს შეუძლია „ბიზნეს ლაბორატორიის“ რესურსით სარგებლობა. აღსანიშნავია, რომ ლაბორატორიის საქმიანობაშიც საჭიროებიდან გამომდინარე არის ჩართული უცხოელი აკადემიური პერსონალიც (რომელიც ქართველ კოლეგასთან ერთად მონაწილეობს ამათუიმ კურსის განხორციელებაში), რომელიც ეხმარება სტუდენტს საერთაშორისო ხარისხის პრაქტიკული ცოდნის მიღებაში. პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სტუდენტების კვლევითი მუშაობაც, რაც დასტურდება სეუ-ს მიერ ორგანიზებული სტუდენტური კონფერენციებით, რომლებიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს, წარმოადგინონ თავიანთი სამეცნიერო ნაშრომები ფართო საზოგადოების წინაშე. სტუდენტური კონფერენციების შედეგები იდება უნივერსისტეტის საიტზე, საკონფერენციო ნაშრომების ჟურნალი კი კრებულის სახით გამოდის, რომელსაც აქვს როგორც ბეჭდვითი, ასევე ციფრული ფორმატი. საუნივერსიტეტო კონფერენციები სულ მცირე, სემესტრში ერთხელ ტარდება, და აკრედიტაციის საბუთებში წარმოდგენილი რეპორტების მიხედვით მაღალი სტუდენტური აქტივობებით ხასიათდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ: კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და პროფესორებთან; ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ დანართი #10 - კონფერენციების და ტრეინინგების ანგარიში; ○ ინტერვიუ: კარიერის განვითარების ცენტრთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამის კომპონენტებში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ბიზნესის ადმისნიტრირების სამაგისტრო პროგრამის მიხედვით სწავლებისას გამოიყენება შემდეგი სწავლის მეთოდები: ლექცია, შებრუნებული აუდიტორია, ინტერაქციული ლექცია, პრაქტიკული მუშაობა, ელექტრონული სწავლება და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვა კონკრეტული მეთოდები მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში), რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს და სასწავლო კურსის მისაღწევ შედეგებს. შერჩეული სწავლა-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს როგორც პროგრამის კონკრეტული კომპონენტის, ისე მთელი პროგრამის შედეგების მიღწევას. სამაგისტრო პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;

- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სეუ-ს ბიზნეს ადმინისტრირების ქართულენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა შეფასება ხორციელდება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS), უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებისა და შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებით დადგენილი პროცედურების მიხედვით.

სასწავლო კომპონენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რაც ასახულია როგორც სამაგისტრო პროგრამაში, ასევე სასწავლო კურსების სილაბუსებში -

A) 91-100 ფრიადი

(B) 81-90 ძალიან კარგი

(C) 71-80 კარგი

(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51-60 საკმარისი

(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა

სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება წინასწარ დადგენილი პროცედურების მიხედვით. სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია შეფასების კომპონენტები, ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. სტუდენტებთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ მათთვის სილაბუსები ხელმისაწვდომია აკადემიური რეგისტრაციის დროს, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში - emis.seu.edu.ge. ამასთან, კურსის დასაწყისში, პირველ ლექციაზე, შესაბამისი სასწავლო კურსის ხელმძღვანელი სტუდენტებს აცნობს შეფასების სისტემას. კურსის მიმდინარეობის განმავლობაში სტუდენტს შეუძლია შეფასებებს თვალი ადევნოს მართვის ელექტრონული სისტემიდან და დროული რეაგირება მოახდინოს მიღწეულ შედეგებზე. ამდენად, შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, ობიექტური და სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი.

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება. საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები გაწერილია ,,სასწავლო პროცესის რეგულირების წესში", რომელიც დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია სეუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე - seu.edu.ge. სტუდენტს შეუძლია გაასაჩივროს შეფასება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დახმარებით. საჩივარს პირველ ეტაპზე განიხილავს პროგრამის ხელმძღვანელი სხვა ლექტორთან ერთად. ხოლო პირველადი აპელაციის შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში საჩივარი განიხილება რექტორის ბრძანების საფუძელზე შემდგარი კომისიის მიერ.

საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ,,სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესი", რომელიც განთავსებულია სეუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა ასახული არ არის სამაგისტრო პროგრამასა და სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში, თუმცა ხელმისაწვდომია ზემოაღნიშნულ დოკუმენტში. ამასთან, მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ ისინი იცნობენ შეფასების მოქმედ სისტემას.

ნაშრომების აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტებსა და აკადემიური გაფორმების სტილთან შესაბამისობის დასადგენად დაწესებულება იყენებს ანტიპლაგიატის პროგრამა Turnitin-ს. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია, თავად ატვირთოს სამაგისტრო ნაშრომები ანტიპლაგიატის პროგრამაზე.

,,სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესი" ასევე ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის შედგენასა და განსაზღვრავს მის სავარაუდო შემადგენლობას, რომელშიც გათვალისწინებული არ არის გარე ექსპერტის ჩართულობა. თუმცა, როგორც ინტერვიუს შედეგად გახდა ცნობილი, პრაქტიკაში ხშირია კომისიაში გარე ექსპერტის მოწვევაც.

დაწესებულება ახორციელებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასებასა და ანალიზს. აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებისა და მათი გაუმჯობესების შესახებ. ამასთან, თითოეული სასწავლო

კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები გამოკითხვის საშუალებით დაწესებულებას აწვდიან უკუკავშირს შეფასების მეთოდების რელევანტურობასა და გამჭვირვალობაზე, ასევე ლექტორის მიერ განხორციელებული შეფასების ობიექტურობაზე. აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ცნობილია შეფასების თანამედროვე მეთოდები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუ მოწმობს, რომ შემფასებლების უნარების განვითარებისა და ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში სწავლა/სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით ტარდება ტრენინგები, კონფერენციები და სხვა ღონისძიებები. ამდენად, აკადემიური/მოწვეული პერსონალი ამ სფეროში განვითარებისათვის დაწესებულებისაგან იღებს საკმარის მხარდაჭერას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ სეუ-ს ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ,,სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“; ○ ,,სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესი“; ○ ,,აკადემიური მოსწრების ანალიზი 2020-2021 სასწავლო წელი“; ○ ,,სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი 2020-2021 გაზაფხულის სემესტრი“; ○ ,,ლექტორისა და სასწავლო კურსის შეფასება“; ○ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - emis.seu.edu.ge; ○ სეუ-ს ვებგვერდი - seu.edu.ge; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სიტემა აისახოს სეუ-ს ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაშიც; ○ სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიაში სავალდებულო გახდეს გარე ექსპერტის ჩართვა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე იკვეთება, რომ ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციის გაწევისა და კარიერული განვითარების მხარდაჭერისათვის აუცილებელი მექანიზმები. სტუდენტები სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის - emis.seu.edu.ge - საშუალებით იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მიმდინარეობაზე. ამავე პლატფორმის გამოყენებით სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია ვაკანსიების, საერთაშორისო შესაძლებლობების, კონფერენციებისა და უნივერსიტეტში განხორციელებული სხვა აქტივობების შესახებ. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა ასევე იძლევა შესაძლებლობას, რომ სტუდენტმა შუალედური და

დასკვნითი გამოცდების პერიოდში გამოცდების ჩასაბარებლად აირჩიოს მისთვის სასურველი რეგიონი და დრო.

სტუდენტები იღებენ დროულ და ეფექტურ კონსულტაციას როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალისაგან. სტუდენტებსა და პერსონალს შორის კომუნიკაციის გამარტივების მიზნით emis-ის სისტემაში ფუნქციონირებს ე.წ. ,,ცხელი Zoom", რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს ონლაინ რეჟიმში ჰქონდეთ კომუნიკაცია ადმინისტრაციულ პერსონალთან და მიიღონ სწრაფი რეაგირება მათთვის საინტერესო საკითხებზე.

აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო საათები აისახება emis-ის ბაზაში. გარდა ამისა, სტუდენტებს შეუძლიათ ინდივიდუალურად შეუთანხმდნენ პერსონალს საკონსულტაციო დროზე. აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაციისათვის სტუდენტები ასევე იყენებენ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას, ელ. ფოსტასა და ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებებს.

აღსანიშნავია, რომ განსახილველი პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. კერძოდ, სტუდენტი და კურსდამთავრებული წარმოდგენილნი იყვნენ პროგრამის მრჩეველთა საბჭოში. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - ,,საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, გადასინჯვისა და შეწყვეტის პროცედურები" - რომელიც ასევე ითვალისწინებს განსახილველ პროცედურებში სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა ჩართულობასა და მათგან უკუკავშირის მიღებას.

სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღებისა და მათი ინტერესების გათვალისწინებით მიზნით პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის დეკანი ინტენსიურად ატარებენ შეხვედრებს სტუდენტებთან. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა რეკომენდაციებს და ცდილობს სტუდენტებზე მორგებული გარემოს შექმნას. ასე მაგალითად, სტუდენტების რეკომენდაციით გაიზარდა პრაქტიკული დავალებები, დაემატა მოთხოვნილი კურსები და ა.შ.

დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობას ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციებისა და პროექტების, ასევე საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ. სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მსგავს შესაძლებლობებზე ინფორმაციას იღებენ emis-ის სისტემის, ელ. ფოსტის, სეუ-ს ვებგვერდისა და Facebook გვერდის საშუალებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სტუდენტებთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სტუდენტები ჩართულნი არიან კონფერენციებსა და კვლევებით პროექტებში. მათ დანტერესებას ზრდის ის ფაქტორიც, რომ კონფერენციაში მონაწილეობა ერთ-ერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმია შემდგომ სტიპენდიის მოპოვებისათვის. დაწესებულება ცდილობს სხვადასხვა საშუალებით ხელი შეუწყოს სტუდენტთა კვლევით პროექტებში მონაწილეობას, ამ მიზნით განხორციელებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება იყო საგრანტო პროექტებში სტუდენტთა სავალდებულოდ ჩართვის დაწესება.

როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, სეუ-ში ფუნქციონირებს სტუდენტური კლუბებიც, მაგალითად, ბიზნეს კლუბი, რომელიც ორგანიზებას უწევს კონფერენციებს, საჯარო ლექციებსა და სხვადასხვა ღონისძიებას.

დაწესებულება აქტიურად მუშაობს ინტერნაციონალიზაციის კუთხით, რასაც ადასტურებს

როგორც პროგრამით დაინტერესებულ უცხოელ სტუდენტთა არსებობა, ასევე ადგილობრივი სტუდენტების მიერ საერთაშორისო მობილობით სარგებლობის ფაქტებიც. საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში ხორციელდება კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებები. დაწესებულებაში ფუნქციონირებს კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის დასაქმებისა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო შესაძლებლობების შექმნას. სტუდენტები დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას იღებენ სასწავლო პროცესის მართვის სისტემის (emis), ელ.ფოსტისა და სეუ-ს ვებგვერდის დახმარებით. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით დაწესებულებას დამსაქმებლებთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. სტუდენტთა კარიერული განვითარების მხარდაჭერისათვის ეწყობა დასაქმების ფორუმები, შეხვედრები დამსაქმებლებთან, ტრენინგები CV-სა და სამოტივაციო წერილის დაწერასა და დასაქმებისათვის საჭირო სხვა უნარებზე. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სეუ ასევე საშუალებას აძლევს სტუდენტებს სტაჟირება გაიარონ დაწესებულების სხვადასხვა დეპარტამენტში, სამომავლო დასაქმების პერსპექტივით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ ,,საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, გადასინჯვისა და შეწყვეტის პროცედურები“; ○ პრაქტიკის ხელშეკრულებები და მემორანდუმები; ○ საერთაშორისო თანამშრომლობის მემორანდუმები; ○ ,,სტუდენტთა კმაყოფილების ინსტიტუციონალური შეფასება, 2020“ ○ ,,დისტანციური სწავლების გამოცდილების კვლევა - სტუდენტები, 2020“; ○ განხორციელებული კონფერენციების დღის წესრიგი; ○ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - emis.seu.edu.ge; ○ სეუ-ს ვებგვერდი - seu.edu.ge; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშზე, თანდართულ დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტზე მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა აღინიშნოს, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობაში ჩართულ პირებს აქვთ შესაბამისი აკადემიური და სამეცნიერო გამოცდილება.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესი", რომლის თანახმადაც, ,,სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ან/და დარგში პრაქტიკული გამოცდილების მქონე უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი." ხსენებული დოკუმენტი და ნაშრომის ხელმძღვანელთან დადებული ხელშეკრულებები ასევე აწესრიგებს ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის პროცესის საკითხებს.

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს, თუ რამდენი მაგისტრანტის ხელმძღვანელობა შეუძლია ერთ პროფესორს ერთდროულად. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს პროცესში დადასტურდა, რომ მაქსიმალურ რაოდენობად განსაზღვრულია 5 (ხუთი) სტუდენტი.

სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას ხელმძღვანელებისაგან მათთვის რელევანტურ ყველა საკითხზე. მაგისტრანტსა და ნაშრომის ხელმძღვანელს შორის შეხვედრები ძირითადად ყოველკვირეულად იმართება, თუმცა, როგორც სტუდენტები აღნიშნავენ, საჭიროებისამებრ შეიძლება დაიგეგმოს დადმატებითი კონსულტაციებიც.

მაგისტრანტს შეუძლია აკადემიური რეგისტრაციის დროს სამაგისტრო ნაშრომის თემა აირჩიოს აკადემიური პერსონალის მიერ შეთავაზებული ჩამონათვალიდან, ან დაარეგისტრიროს სხვა, მისთვის სასურველი თემა ხელმძღვანელთან შეთანხმებით. შეთანხმებული თემები ასევე მოწმდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ.

სამაგისტრო ნაშრომების გაცნობის პროცესში გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზებიც. ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს მაგისტრანტთა მიერ აკადემიური წერის სტანდარტების დაცვის და კვლევითი ნაწილის სათანადოდ წარმოჩენის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო მომიჯნავე სპეციალობის სამაგისტრო ნაშრომებს, ამასთან, პროგრამა ახალია, სტრუქტურა იძლევა ამ ხარვეზების დაძლევის შესაძლებლობას, შემუშავებულია აკადემიური წერის გზამკვლევი, მიზანშეწონილია აკადემიური წერის სასწავლო კურსის შეთავზება პროგრამის ფარგლებში (იხ. რეკომენდაცია 2.2 კომპონენტში).

დაწესებულება იყენებს ანტიპლაგიატის პროგრამა Turnitin-ს, რომლის დახმარებითაც სამაგისტრო ნაშრომები მოწმდება აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტსა და აკადემიური გაფორმების სტილთან შესაბამისობაზე. ,,სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესის“ მიხედვით, ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება წარმოადგენს ხელმძღვანელის ერთ-ერთ ვალდებულებას. ზემოხსენებული დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია, თუ რომელი შემთხვევები მიიჩნევა აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევად და რა შედეგებს იწვევს ამგვარი ფაქტის დადგომა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ ,,სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესი“; ○ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან დადებული ხელშეკრულება; ○ სამაგისტრო ნაშრომები; ○ აკადემიური პერსონალის CV; ○ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - emis.seu.edu.ge; ○ სეუ-ს ვებგვერდი - seu.edu.ge; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალუ	✓			

რი მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის იმპლემენტაცის ახდენს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის 31 აკადემიური და მოწვეული პერსონალი: აქედან, 15 არის აკადემიური და 16 მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალი წარმოდგენილია შემდეგნაირად: 5 პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი და 2 ასისტენტ-პროფესორი. აქედან, 2 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი უნივერსიტეტთან არის აფილირებული. პროგრამას ძირითად კურსებს ანხორციელებს 8 აკადემიური და 5 მოწვეული პერსონალი. პროგრამას ძირითად კურსებს ანხორციელებს 8 აკადემიური და 5 მოწვეული პერსონალი.საგანმანათლებლო პროგრამის იმპლემენტაცის ახდენს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის 31 აკადემიური და მოწვეული პერსონალი: აქედან, 15 არის აკადემიური და 16 მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალი წარმოდგენილია შემდეგნაირად: 5 პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი და 2 ასისტენტ-პროფესორი. აქედან, 2 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი უნივერსიტეტთან არის აფილირებული. პროგრამას ძირითად კურსებს ანხორციელებს 8 აკადემიური და 5 მოწვეული პერსონალი. პროგრამას ძირითად კურსებს ანხორციელებს 8 აკადემიური და 5 მოწვეული პერსონალი. უნივერსიტეტში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებით დადგენილი საკონკურსო პირობების მიხედვით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა არის 1/1,1. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან დაისვა კითხვა, თუ რას გეგმავდა უნივერსიტეტი აღნიშნული თანაფარდობის გასაუმჯობესებლად. ინტერვიუებით გაირკვა, რომ უნივერსიტეტი აპირებს ვაკანტური ადგილების გამოცხადებას აკადემიური პოზიციების დასაკავებლად.

პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გააჩნიათ სწავლა/სწავლების, აკადემიური პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებით და პირისპირ ინტერვიუებით. მათი ავტორობით გამოქვეყნებული პუბლიკაციები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს არა მარტო აკადემიურ, არამედ სფეროში საქმიანობის პრაქტიკულ გამოცდილებასაც.

პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი (უცხოელი) რომელთაც გააჩნიათ შესაბამი კვალიფიკაცია და გამოცდილება, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, მას აქვს სასწავლო პროცესში მონაწილეობის გამოცდილება. ხოლო, პროგრამის თანახელმძღვანელი არის უცხოეული მოწვეული პერსონალი. პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდ არის ჩართული პროგრამის როგორც შემუშავების, ისე განხორციელების პროცესში.

დაწესებულებაში გაწერილია აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ რომ საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება ქმნის საფუძველს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

უნივერსიტეტში დანერგილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემა, რომლის შედეგები გამოიყენება პერსონალის განვითარების, წახალისების ან შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია და გულისხმობს როგორც პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების, ასევე კვლევითი აქტივობის, პროგრამის განვითარებაში ჩართულობის, პროფესიული განვითარებისა და სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებლების ურთიერთშეჯერებას. უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს სტუდენტების მომსახურებას საჭირო რაოდენობისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური/მოწვეული პერსონალის CV;
- აკადემიური/მოწვეული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან;
- პროგრამის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქცია-

მოვალეობები; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ“ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის კომპეტენციების შეფასებას და მათი აკადემიური და კვლევითი მუშაობის შედეგების ანალიზს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის შეფასების წესი, რომელიც ყოველი სემესტრის დასაწყისში ეცნობა პერსონალს. ასევე უნივერსიტეტში შემუშავებულია პერსონალის სამოტივაციო სქემები, რომელიც თითოეულ აკადემიურ თანამშრომელს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს დამატებითი მატერიალური წახალისება გარკვეული შედეგის მიღწევის სანაცვლოდ. ხარისხის სამსახურის მიერ სისტემატურად ტარდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი (მოწმდება ლექციების, პრაქტიკული და სხვა მეცადინეობების ხარისხი) რაც დასტურდება აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებითა და ხარისხის სამსახურის მიერ აკადემიური პერსონალის შესახებ წარმოდგენილი კვლევების შედეგებით. ასევე, შეფასების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს ლექტორთა პედაგოგიური, პერსონალური, საკომუნიკაციო და სოციალური უნარების პერიოდული აუდიტი, შემდგომში მათი კომპეტენციების	

გაუმჯობესების მიზნით, რისთვისაც ყოველი სემესტრის ბოლოს უნივერსიტეტის ე:გ „CRM“ პროგრამის საშუალებით ტარდება სტუდენტების გამოკითხვები. აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უნივერსიტეტი თითოეულ თანამშრომელს სთავაზობს პერსონალური განვითარების გეგმას, პერიოდულად იწვევს უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს საჯარო ლექციებისა და მასტერკლასების ჩასატარებლად. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში ჩართულია უცხოელი პერსონალი, რომელიც უძღვება ინგლისურენოვან ანალოგიურ პროგრამას და თანამშრომლობს აღნიშნული პროგრამის ადგილობრივ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, რაც ეხმარება ქართველ პერსონალს საერთაშორისო გამოცდილების მიღებაში და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვასა და პერსონალური უნარების განვითარებაში. ამ გზით ხდება პროგრამის თანამედროვე და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. კურსდამთავრებულებისა და აკადემიური პერსონალის ინტერვიუები აჩვენებს, რომ ყოველი კურსის შემდგომ სტუდენტებში აკადემიური პერსონალის შეფასება ხორციელდება ე.გ კმაყოფილების კვლევებით, სტუდენტები ადასტურებენ რომ მათი რეკომენდაციები ყოველთვის აისახება ხარისხის გაუმჯობესებაში.

ხარისხის სამსახურის მიერ პერსონალის შეფასება ხდება სემესტრულად. ყოველი სემესტრის დასაწყისში, ხარისხის სამსახურის/ადამიანური რესურსების განყოფილებების მიერ მოლოდინები და შეფასების კრიტერიუმები ეცნობება ყველა აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს. შემდგომ პროგრამის ხელმძღვანელი მართავს შეხვედრას პერსონალთან, შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით და მოლოდინების გასარკვევად. აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებით დასტურდება რომ მათ კონკრეტული ინფორმაცია საკუთარი პერსონალური განვითარების გეგმის შესახებ და იმის შესახებ, თუ რომელი შეფასების კრიტერიუმი როგორ აისახება მათ პირად სამოტივაციო სქემაზე.

პერსონალის საბოლოო შეფასებაში კონკრეტული დასაქმებულის მიმართ გამოიყოფა 4 სახის შედეგი: შესანიშნავი, კარგი, განვითარებადი და არადამაკმაყოფილებელი. აკრედიტაციის ვიზიტისას, აკადემიურმა პერსონალმა, მოიყვანეს მაგალითები მათი სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში, ტრენინგზე, სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობის თუ, სტატიის გამოქვეყნების ფინანსური მხარდაჭერის შესახებ, ასევე გამოყვეს სეუს პერსონალის სამოტივაციო სქემა როგორც მათვის უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი კონკურენტული უპირატესობა.

რაც შეეხება ადამიანური რესურსების განვითარებას, მოცემულ ეტაპზე კვლევის შედეგის საფუძველზე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მასტერ კლასებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ სხვადასხვა ტრეინინგებში მონაწილოების როგორც საორგანიზაციო, ასევე ფინანსურ ხელშეწყობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები: აკრედიტაციის თვითშეფასების გუნდთან, პროგრამის აკადემიურ

პერსონალთან ○ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები ○ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში ○ სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება ○ „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების წესები (აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის) https://www.seu.edu.ge/ka/554/; https://www.seu.edu.ge/en/554/. ○ სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები https://www.seu.edu.ge/ka/547/; https://www.seu.edu.ge/en/547/. ○ დანართი N8 - საერთაშორისო თანამშრომლობის დოკუმენტაცია
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია უახლესი საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტის ყველა აუდიტორია აღჭურვილია სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო უახლესი ინვენტარით, მათ შორის მონიტორებით, ვიდეო და აუდიო სისტემებით, რაც იძლევა საშუალებას ლექცია/სემინარი თუ უბრალოდ ე:გ

„ვორქშოპი“ ჩატარდეს ჰიბრიდულ ფორმატშიც კი. ასევე გათვალისწინებულია შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები აჩვენებს, რომ სტუდენტები ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტის არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

უნივერსიტეტის შიდა ელექტრონული სერვისების პროგრამა, რომლის საშუალებითაც სტუდენტები ირჩევენ საგნებს, ეცნობიან სილაბუსებს, წერენ გამოცდებს, ეცნობიან ქულებს, ეკონტაქტებიან ლექტორებსა და ადმინისტრაციას, იღებენ მონაწილეობას გამოკითხვებში და უბრალოდ იღებენ მათთვის საჭირო რაიმე სახის ნებისმიერ ინფორმაციას თუ დოკუმენტაციას, სრულიად პასუხობს თანამედრო საგანმანათლებლო სტანდარტებსა და ტექნიკურ სხვა გამოწვევებს, რაც უზრუნველყოფს ელექტრონული სერვისების პროგრამის გამართულად და უწყვეტად მუშაობას.

ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდვური ასევე ელექტრონული წიგნების ფონდი შესაბამისი ელექტრონული ბაზით, და ელექტრონული კატალოგით. სეუ-ს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების მომსახურებაზე, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ კურსის სილაბუსში მოცემული ყველა ლიტერატურა დისტანციურად, ე:გ “საუნივერსიტეტო VPN”-ის გამოყენებით.

ასევე ბიბლიოთეკის მიერ შემუშავებულია საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების რეგლამენტი და სტუდენტებთან ინტერვიუები ადასტურებს, რომ სტუდენტები ინფორმირებულნი არიან საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების ინსტრუქციის შესახებ.

ბიბლიოთეკის დათვალიერების დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემთხვევითი პრინციპით შერჩეული ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდში არსებობის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას. ასევე, სტუდენტებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი ბიზნეს გამოცემები, როგორც უნივერსიტეტში, ადგილზე, ასევე სახლიდან გაუსვლელად, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ მათთვის საჭირო ლიტერატურას და ე:გ „ქეისებს“ პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები: აკრედიტაციის თვითშეფასების გუნდთან, აიტი განყოფილებასთან
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები: სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება და შემოწმება შერჩევითი მეთოდით
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძვანელთან

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება საკუთარი ბიუჯეტით. ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხარჯი როგორც აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებისათვის, ასევე სტუდენტებისთვის პრაქტიკული გამოცდილებისათვის, რაც გამოიხატება აკადემიური პერსონალის ჩართულობაში საერთაშორისო კონფერენციებში, სტუდენტების ჩართულობაში სხვადასხვა საერთაშორისო და ლოკალურ სიმულაციურ ბიზნეს აქტივობებში. ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია აკადემური/მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის სამეცნიერო მივლინებისა და სტუდენტთა დაფინანსება გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო ტრენინგებსა და კონფერენციებში. პროგრამა დინამიურად განვითარებადია და უკვე პირველი აკადემიური წლის საპროგნოზო მდგომარეობით გადის ე;გ „უზარალობის წერტილზე“. პროგრამის ხელმძღვანელთან და უნივერსიტეტის ფინანსური განყოფილების ხელმძღვანელთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ აღნიშნული პროგრამის ცნობადობის გასაზრდელად, პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მარკეტინგული ხარჯები, რომელიც მიმართულია სტუდენტების საჭირო ნაკადის უზრუნველსაყოფად. ბიუჯეტის თანახმად პირველი აკადემიური წლის განმავლობაში დაშვებულია მინიმუმ 20 სტუდენტის მიღება, იმ დაშვებით რომ საჭიროების შემთხვევაში, გაუთვალისწინებელი ხარჯების არსებობის შემთხვევაში პროგრამის მდგრადობა უზრუნველყოფილი იყოს საერთო

საუნივერსიტეტო ბიუჯეტით. პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა მინიმალური სტუდენტთა რაოდენობის მიღების შემთხვევაში ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის ბიუჯეტი ○ ინტერვიუები: თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და

იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს ხელმძღვანელობს ხარისხის განვითარების დეპარტამენტი. დეპარტამენტი საკუთარ საქმიანობას საფუძვლად უდებს როგორც ბოლონიის პროცესის ფარგლებში შემუშავებულ დოკუმენტებს, ევროპული უმაღლესი განათლების სფეროში არსებულ ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს, ისე საქართველოს კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიული განვითარების გეგმასა და შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით.
უნივერსიტეტში პროგრამისა და ზოგადად, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნები, ამოცანები, პროცედურები, ეტაპები თუ ჩართული მხარეების ვალდებულებები გაწერილია დოკუმენტებში „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების პოლიტიკა“, ასევე, „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს პოლიტიკა ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი შედეგების გავრცელების შესახებ“. აგრეთვე, უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს „საგანმანათლებლო პროგამების სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგია“. ზემოაღნიშნული დოკუმენტები ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება PDCA ციკლის პრინციპს, რაც გულისხმობს პროცესების დაგეგმვას, განხორციელებას, შემოწმებასა და განვითარებას.
შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტს დანერგილი აქვს ანგარიშვალდებულებითი სისტემა, რაც მოიაზრებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის, გარე აქტორების ჩართულობასაც. ამავე მიზნით შემუშავებულია: 1. პროგრამის, სილაბუსისა და უნივერსიტეტის თვითშეფასების ფორმები შევსების ინსტრუქციით; 2. პერსონალის (აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე) საქმიანობის შეფასების სისტემა; 3. სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და დანერგილია მონიტორინგის შედეგების გამოყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად; 4. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები, მათ შორის გამოკითხვები (აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის, სტუდენტების კურსდამთავრებულების და დამსაქმებელთა ჩართულობით) და სხვ.
აღსანიშნავია, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან, გასაუბრებისას დადასტურდა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და მისი ხარისხის შეფასების მექანიზმების დაგეგმვის პროცესში მონაწილეობა. ამავე მიზნით, უნივერსიტეტში დანერგილია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და შედეგების ანალიზი; დაინტერესებული მხარეების გამოკითხვები; ყოველწიურად ხელმძღვანელის მიერ ხორციელდება პროგრამის თვითშეფასება და სხვ. რაც შეეხება წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამას, მისი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან, რათა მომხდარიყო პროგრამაში მათი საჭიროებებისა და ხედვების ასახვა; დადგენილია პროგრამის სამიზნე ნიშნულები; შემუშავებულია მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა; ასევე პროგრამის კურიკულუმის რუკა, სადაც იდენტიფიცირებულია თითოეულ სწავლის

შედეგზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსები. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის რუკა სრულად არ მიყვება საუნივერსიტეტო მეთოდოლოგიას სწავლის შედეგების შეფასების შესახებ. კერძოდ, კურიკულუმის რუკიდან არ იკითხება თუ რომელ სწავლის შედეგს რა დონეზე (გაცნობა (I); გაღრმავება (P); განმტკიცება (M)) ასრულებს მონიშნული სასწავლო კურსი. სასურველია, პროგრამის აკადემიურმა გუნდმა კურიკულუმის რუკის შემუშავების პროცესში იხელმძღვანელოს საუნივერსიტეტო სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტით. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროგრამის ხელმძღვანელები და მრჩეველთა საბჭო აქტიურად იყვნენ ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში, აკადემიური პერსონალის მხრიდან დასტურდება კომუნიკაცია ხარისხის განვითარების დეპარტამენტთა პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შემუშავების და ამ უკანასკნელის შეფასების მიმართულებით უნივერსიტეტის მიდგომების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ○ ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების პოლიტიკა; ○ სეუ-ს პოლიტიკა ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი შედეგების გავრცელების შესახებ; ○ საგანმანათლებლო პროგამების სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგია; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, პროგრამის აკადემიურმა გუნდმა კურიკულუმის რუკის შემუშავების პროცესში იხელმძღვანელოს საუნივერსიტეტო სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშს თანდართული დოკუმენტებითა და ინტერვიუების შედეგებით დასტურდება პროგრამის ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმებად სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული აკრედიტაციის პროცესებით მიღებული შეფასებების, გარე, უცხოელ და ქართველ ექსპერტთა რეკომენდაციების, შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა საჭიროებების დადგენა და გამოყენება.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა შესაფასებლად გაეგზავნა დარგში მომუშავე უცხოელ სპეციალისტებს. დოკუმენტურად წარმოდგენილია 6 გარე შეფასების დოკუმენტი, რომელთა მიხედვითაც პროგრამა დადებითადაა შეფასებული. აღსანიშნავია რომ უცხოელ დარგის წარმომადგენელთა გარე შეფასებები მეტწილად წარმოადგენს მხარდამჭერ წერილებს და ნაკლებ ასახავს პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, სასწავლო გეგმის, სილაბუსების, სწავლებისა და შეფასების მეთოდების დეტალურ შეფასებას. სასურველია, გარე შემფასებლების მიერ, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მოხდეს მისი შემადგენელი კომპონენტების დეტალური შესწავლა, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა.

აღსანიშნავია, რომ გარე შეფასებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დადგენის მიზნით პროგრამის შემუშავების პროცესში გამოყენებულია 2020 წელს ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა, რომლის ფარგლებში გამოიკითხა 42 რესპოდენტი. კვლევაში აღწერილია ქართულ შრომის ბაზარზე ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობით დასაქმების შესაძლებლობები, კადრების შერჩევის კრიტერიუმები და პროცესები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე, დამსაქმებლებში ქართული უმაღლესის სასწავლებლების რეიტინგი და ა.შ.

ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგები ფორმირების პროცესში შესწავლილ იქნა 40 ქართული კომპანიისა და უმაღლესი სასწავლებლების მოთხოვნები მენეჯერულ პოზიციებთან მიმართებით. გასაუბრების შედეგად დადგინდა ის ძირითადი უნარ-ჩვევები, რომლებსაც დღეს ითხოვენ ქართველი დამსაქმებლები. პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირების პროცესში გათვალისწინებული იქნა დამსაქმებელთა მოსაზრებებიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- გარე შეფასების დასკვნები;

- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გარე შემფასებლების მიერ, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მოხდეს მისი შემადგენელი კომპონენტების დეტალური შესწავლა, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზანია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობით განხორციელების უზრუნველყოფა, სასწავლო თუ კვლევითი პროცესისა და უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება სტუდენტთა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მონაწილეობით. ამ მიზნით, სეუ-ში დანერგილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემა თვითშეფასების ანგარიშების წარმოებისა და ასევე, მათი სალექციო ფორმატის მონიტორინგისა და დაკვირვების გზით. ამ უკანასკნელს ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენელთან ერთად. გარდა ამისა, PDCA ციკლის პირნციპების საფუძველზე შემუშავებულია და დანერგილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომელიც მოიცავს სწავლის შედეგების შემუშავების,

ანალიზის, შეფასების, კურიკულუმის მონიტორინგის ეტაპებს. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები. შეფასების პირდაპირი მეთოდი გულისხმობს სასწავლო კურსზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასებასა და ანალიზს. ამ მიზნით, მიმდინარეობს უწყვეტი დაკვირვება შუალედური და დასკვნითი გამოცდების პროცესსა და შედეგებზე, პრაქტიკის კომპონენტზე, იქმნება სტუდენტთა პორტფოლიოები და ა.შ. ხოლო არაპირდაპირი შეფასების მიზნით, უნივერსიტეტში დანერგილია სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვების სისტემა. სასწავლო კურსის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ყოველი სემესტრის ბოლოს, სტუდენტები კითხვარების მეშვეობით აფასებენ სასწავლო კურსებს და კურსის განმახორციელებელ ლექტორებს. მიღებული შედეგების საფუძველზე ხდება რეკომენდაციების შემუშავება და საჭიროების შემთხვევაში სასწავლო კურსის სილაბუსის მოდიფიცირება. გარდა ამისა, შეფასების არაპირდაპირ მეთოდად გამოიყენება კურსდამთავრებულთა პროფილით დასაქმების მონაცემების შეგროვება და გაანალიზება.

პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით სემესტრულად და წლიურად მოგროვილი ინფორმაცია თავს იყრის პროგრამის თვითშეფასების ფორმაში, რომელიც ივსება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. აღნიშნული ფორმა მოიცავს სასწავლო კურსების თვითშეფასებებს, ამ უკანასკნელს კი კურსის პედაგოგობები ახორციელებენ. პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის მონიტორინგის პროცესში გამოყენებულია როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მონაცემები (სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, სასწავლო კურსების თვითშეფასებები, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგები, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების შედეგები და ა.შ.)

აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო პროგრამა შემუშავების პროცესში დადარდა ქართული უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რათა მომხდარიყო საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გაზიარება. ამ მიზნით შესწავლილ იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს უნივერსიტეტის, კავკასიის უნივერსიტეტის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამები.
მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის მოწვეული და აკადემიური პერსონალი იცნობს პროგრამის მონიტორინგის მექანიზმებსა და ჩართულია აღნიშნული პროცესის განხორციელების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის თვითშეფასების ფორმა;
- სასწავლო კურსის თვითშეფასების ფორმა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და შეფასების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ანალოგ პროგრამებთან შედარების დოკუმენტი;

○ დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ბიზნესის ადმინისტრირება (მაგისტრატურა)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ეკა ლეკაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

თორნიკე ხოშტარია

თეა კასრაძე

ქეთევან ქავთარაძე

ქრისტინა ჩიხრაძე

მარიამ გორგოძე